სადამფუძნებლო შეთანხმება

(შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სარეგისტრაციო მონაცემები)

- **სამართლებრივი ფორმა** --- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

- **საფირმო სახელწოდება** *[1]
  (უნდა განისაზღვროს ქართულ ენაზე, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვლისწინებული წესით)
  „ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმი“

  საფირმო სახელწოდება ინგლისურად *
  (უნდა შეესაბამებოდეს ქართულ ენაზე განსაზღვრულ სახელწოდებას)
  „American International School Progress - Batumi“

- **იურიდიული მისამართი** *
  (სამეწარმეო საზოგადოების ფიზიკური (ფაქტობრივი) მისამართი)

  ქ. ბათუმი, ვახტანგ შამილიძის ქ. N30, საკადასტრო კოდი N05.26.28.053

- **განთავსებული წილების რაოდენობა** *
  (წილების რაოდენობა, რომელიც გასცა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ საზღაურის სანაცვლოდ, მიუხედავად იმისა, მიღებული აქვს თუ არა ამ სამეწარმეო საზოგადოებას საზღაური. გამოხატული უნდა იყოს მთელი რიცხვით)

  100 ცალი

- **პარტნიორები და პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობა განთავსებულ კაპიტალში** *
  (უნდა შეადგენდეს 100 პროცენტს)

N	პარტნიორი/პარტნიორები * (ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, (იურიდიული პირის შემთხვევაში საფირმო სახელწოდება საიდენტიფიკაციო კოდი, იურიდიული მისამართი)	**წილის ოდენობა** * (გამოხატული მთელი რიცხვით)	**პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობა განთავსებულ კაპიტალში** * (გამოხატული პროცენტებით)
1	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს “პროგრეს ედუქეიშენ გრუფ” (ს.ნ:404714868), საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, თარხნიშვილის ქუჩა, N 9, ბინა N 14	**55ც**	55%

[1] (*) - ამ ნიშნით აღნიშნულია სავალდებულო მოსანიშნი ველები

2	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს ანაგი განათლება, 404596200 საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კოსტავას ქ., N37-39, სართული N 3	**45ც**	45%

ხელმძღვანელი ორგანო: დირექტორი

- **ხელმძღვანელი ორგანოს წევრი/წევრები ***

(ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი - ასევე უფლებამოსილების ვადა (თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია. ხელმძღვანელი ორგანო შესაძლებელია შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე წევრისგან)

- ნინო ჩიკვაშვილი, 60002000729

საქართველო, ქალაქი ქუთაისი, გელათის ქუჩა, N 16-18

- **ხელმძღვანელი ორგანოს წევრების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლები ***

(უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელი ორგანოს წევრები ერთობლივად (ერთად) წარმოადგენენ სამეწარმეო საზოგადობას, თუ ერთპიროვნულად (ცალ-ცალკე). თუ ხელმძღვანელი ორგანოს წევრებს აქვთ განსხვავებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, ასეთი უფლებამოსილების ფარგლები უნდა მიეთითოს თითოეული ხელმძღვანელი ორგანოს წევრთან მიმართებით)

ერთპიროვნულად

- ***სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირი ****

(სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი)

ნინო ჩიკვაშვილი, 60002000729

სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი *

Ninochikvashvili@yahoo.com

- ***სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირის საქართველოში მოქმედი მობილური ოპერატორის მობილური ტელეფონის ნომერი)****

599 908 041

სადამფუძნებლო შეთანხმების ნაწილს წარმოადგენს მისი დანართი - წესდება.

დამფუძნებლის/პარტნიორის სახელი გვარი პირადი ნომერი:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს "პროგრეს ედუქეიშენ გრუფ" (ს.ნ:404714868), 55% წილის მფლობელი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს „ანაგი განათლება", ს/ნ 404596200, 45% წილის მფლობელი

Davit Andguladze 61001020301
Digitally signed by Davit Andguladze
Date: 2024.03.06 10:53:47

Nino Chikvashvili 60002000729
Digitally signed by Nino Chikvashvili
Date: 2024.03.04 19:54:53

წესდება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმი“

ქ. თბილისი

2024

თავი I.

ზოგადი დებულებები

1. საერთო დებულებები

1.1 შპს "ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმი" (შემდგომში "კომპანია") წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსებულია "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

1.2. კომპანია შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

1.3. კომპანიის სამეურნეო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს. ის შეადგენს 12 თვეს, იწყება 1 იანვარს და მთავრდება 31 დეკემბერს. დრო კომპანიის რეგისტრაციიდან რეგისტრაციის წლის 31 დეკემბრამდე ქმნის ერთ ნაკლულ სამეურნეო წელს.

1.4. კომპანიის შექმნის მიზანია: არაერთჯერადი და დამოუკიდებელი სამეწარმეო საქმიანობის საფუძველზე მოგების მიღება.

1.5. საზოგადოების საქმიანობის საგანია: ქალაქ ბათუმში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (სკოლის) მშენებლობა, მისი მართვა, ოპერირება და განვითარება. გარდა ამისა, საზოგადოება უფლებამოსილია განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა. საქმიანობას, რომელიც საჭიროებს სპეციალურ ნებართვას, საზოგადოება ახორციელებს მოცემული ნებართვის მიღების შემდეგ.

1.6. კომპანია არის იურიდიული პირი და თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1.7. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად კომპანია იძენს იურიდიული პირის უფლებებს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

1.8. კომპანიას გააჩნია განცალკევებული ქონება, შეუძლია თავისი სახელით გამოვიდეს სამართლებრივ ურთიერთობებში, შეიძინოს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები და იკისროს მოვალეობები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში, საარბიტრაჟო და სამედიატორო სასამართლოებში.

1.9. კომპანიას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, შეუძლია გახსნას საანგარიშსწორებო და სხვა სახის ანგარიშები (მათ შორის სავალუტო) საქართველოსა და უცხოეთის საბანკო დაწესებულებებში.

1.10. კომპანიას შეუძლია შექმნას ფილიალები (წარმომადგენლობები) და სხვა სტრუქტურული ერთეულები, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე უცხოეთის ქვეყნებში.

1.11. კომპანია უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს იმავე ან მსგავსი მიზნების მქონე კომპანიებში.

1.12. პარტნიორებს უფლება აქვთ გააფორმონ პარტნიორთა შეთანხმება, რომლითაც განსაზღვრავენ ამ წესდებით დაურეგულირებელ ურთიერთობებს. ასეთი შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში, შეთანხმების პირობებს ექნება უპირატესი იურიდიული ძალა

ამ წესდებით დადგენილ პირობებთან შედარებით. პარტნიორთა შეთანხმება შესაძლებელია გაფორმდეს როგორც ერთიანი დოკუმენტის სახით, ისე ყოველ დასარეგულირებელ საკითხზე ცალკე დოკუმენტის შედგენით, საჭიროების შემთხვევაში და მისი შინაარსი დამოწმებული უნდა იქნეს სანოტარო წესით.

თავი II.

2. კომპანიის პარტნიორები

2.1. პარტნიორების წილობრივი მონაწილეობა

2.1.1. პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობა კომპანიის კაპიტალში განისაზღვრება სადამფუძნებლო შეთანხმების შესაბამისად.

2.1.2. კომპანიის წილის 1% უდრის ერთ ხმას.

2.2. პარტნიორთა უფლებები და ვალდებულებები

2.2.1. პარტნიორთა უფლებები

2.2.1.1. კომპანიის პარტნიორი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს კომპანიის მართვაში წესდებითა და პარტნიორთა შეთანხმებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრული წესებისა და პროცედურების დაცვით.

2.2.1.2. პარტნიორი უფლებამოსილია მიიღოს კომპანიის წლიური ანგარიში და ნებისმიერი სხვა პუბლიკაციის ასლი. კომპანიის სამეურნეო წლის აუდიტორული შეფასება ხორციელდება პარტნიორების კონსესუსის შედეგად შერჩეული აუდიტორული კომპანიის მიერ და შეფასების შედეგი ხელმისაწვდომია ყველა პარტნიორისთვის. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პარტნიორი არ იზიარებს შეფასების შედეგებს ან სხვაგვარად ეჭვქვეშ აყენებს კომპანიის წლიური აუდიტის შედეგებს, ასეთი პარტნიორი უფლებამოსილია შეთანხმებული პროცედურების დაცვით მოიწვიოს აუდიტორული კომპანია საკუთარი ხარჯით, რომელიც შეამოწმებს კომპანიის ნებისმიერ საქმიანობას, მათ შორის და არა მარტო წლიური ანგარიშების სისწორეს, კომპანიის საბუღალტრო საბუთების და ბალანსის შემოწმების გზით. იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორის მიერ ინიცირებული აუდიტორული შეფასების შედეგად გამართლდება/საფუძვლიანი აღმოჩნდება მისი მომწვევი პარტნიორის ვარაუდი და აღნიშნული დადასტურდება შეფასების შედეგით, ამგვარი შეფასების ხარჯებს გაიღებს კომპანია (საჭიროების შემთხვევაში პარტნიორის მიერ უკვე გაწეული ხარჯის მისთვის ანაზღაურების გზით)

2.1.1.3. კომპანიის ხელმძღვანელობაზე კონტროლი ხორციელდება პარტნიორების მეშვეობით კანონმდებლობით დადგენილი ფორმით.

2.2.2. პარტნიორთა ვალდებულებები

2.2.2.1. პარტნიორი ვალდებულია არ გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2.2.2.2. პარტნიორი ვალდებულია საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერად საწარმოსათვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და განახორციელოს ქმედებები, რომელიც ყველაზე ხელსაყრელი იქნება კომპანიის სამეწარმეო საქმიანობისათვის. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისას, თითოეული პარტნიორი ვალდებულია აუნაზღაუროს კომპანიას მიყენებული ზიანი.

2.2.2.3. პარტნიორი ვალდებულია იზრუნოს უპირატესად საწარმოს ინტერესებისათვის და მისი მდგომარეობა არ გამოიყენოს საკუთარი ან მესამე პირების კეთილდღეობისათვის, რითაც რისკის ქვეშ დადგება ან/და ზიანი მიადგება კომპანიას. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისას, თითოეული პარტნიორი ვალდებულია აუნაზღაუროს კომპანიას მიყენებული ზიანი.

2.2.3 უპირატესი შესყიდვის უფლება

2.2.3.1. რომელიმე პარტნიორის მიერ კომპანიაში წილის ნებისმიერი ფორმით და/ან ნებისმიერი საფუძვლით მესამე პირზე გადაცემის შემთხვევაში, დანარჩენ პარტნიორებს წარმოეშობა წილის უპირატესი შესყიდვის უფლება. წილის უპირატესი შესყიდვის უფლება გულისხმობს წილის გამყიდველი პარტნიორის ვალდებულებას, პირველ რიგში გასაყიდი წილის ყიდვა შესთავაზოს დანარჩენ პარტნიორებს იმავე პირობებით, რა პირობებითაც განზრახული ჰქონდა მესამე პირებისთვის წილის მიყიდვა.

2.2.3.2 უპირატესი შესყიდვის, წესი, ფორმა და ვადები განსაზღვრულია პარტნიორთა შეთანხმებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან წესდებით. პარტნიორთა შეთანხმებით ამ წესდებით გათვალისწინებული პროცედურების/ვალდებულების დაცვის გარეშე პარტნიორის მიერ დადებული გარიგება წილის გადაცემასთან დაკავშირებით არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს და ჩაითვლება ბათილად.

თავი III.

3. კომპანიის მართვის ორგანოები

3.1. კომპანიის მართვა ხორციელდება პარტნიორთა კრებისა და დირექტორის (შემდგომში „ხელმძღვანელი ორგანო“) მეშვეობით.

3.2. კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანო არის პარტნიორთა კრება.

3.3. კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის წარმართვას ახორციელებს დირექტორი, რომლის უფლებამოსილებაც განისაზღვრება წინამდებარე წესდებით.

4. პარტნიორთა კრების მოწვევის წესი

4.1. პარტნიორთა კრება ტარდება სულ ცოტა წელიწადში ერთხელ მაინც. მის მოწვევასა და ჩატარებაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც ვალდებულია პარტნიორებსს 14 სამუშაო დღით ადრე აცნობოს აღნიშნულის თაობაზე დაზღვეული წერილის, ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის გაგზავნით, რომელიც უნდა შეიცავდეს დღის წესრიგის პროექტს.

4.2. შეტყობინებაში უნდა მიეთითოს კრების დღის წესრიგი. კრების ჩატარების ზუსტი ადგილი და დრო თუ დღის წესრიგში შეტანილი არის საკითხი საზოგადოების წესდებისა და გაში ცვლილების შეტანის შესახებ, დღის წესრიგს თან უნდა დაერთოს აღნიშნული ცვლილების პროექტი.

4.3 პარტნიორთა კრების მოწვევის შეტყობინების მიღებიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში პარტნიორებს უფლება აქვთ ხელმძღვანელ ორგანოს მოთხოვონ შეიტანონ დღის წესრიგში განსახილველ საკითხზე განმარტების გაცემა, ასევე, უფლება აქვთ წარადგინონ თავისი მოთხოვნა/აზრი, ასევე ამავე წესით პარტნიორებს უფლება აქვთ დღის წესრიგში მოითხოვონ საკითხის დამატება და აღნიშნული გაუგზავნოს დანარჩენ პარტნიორებს.

4.4 პარტნიორთა კრების მოწვევა არ არის საჭირო, როდესაც პარტნიორი წერილობითი ფორმით გამოთქვამს თანხმობას განსახილველ საკითხზე და ამის შესახებ აცნობებს დანარჩენ პარტნიორებს.

5. პარტნიორთა რიგგარეშე კრება

5.1. კომპანიის დირექტორმა/დირექტორებმა, პარტნიორთან შეთანხმებით დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიოს კრება, თუ წლიური ბალანსიდან ან წლის განმავლობაში შედგენილი ბალანსიდან ირკვევა, რომ კომპანიამ შეიძლება კაპიტალის ნახევარი დაკარგოს.

5.2. კომპანიის დირექტორს/პარტნიორს უფლება აქვთ მოიწვიონ კომპანიის რიგგარეშე კრება სხვა დასაბუთებული მიზეზის არსებობისას, თუკი კრების მოუწვევლობა საფრთხეში ჩააგდებს კომპანიას ან/და პარტნიორის უფლებას წილზე.

6. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებისუნარიანობა

6.1. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებისუნარიანობა დამოკიდებულია კრებაზე განსახილველ საკითხზე.

6.2. თუ კანონმდებლობით იმპერატიულად არ არის განსაზღვრული პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების მისაღებად პარტნიორთა ხმების ასი პროცენტი, პარტნიორთა კრებაზე გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება წინამდებარე წესდების შესაბამისად.

6.3 პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კომპანიის დამსწრე პარტნიორები.

7. პარტნიორთა კრებას დაქვემდებარებული საკითხები

7.1. მხოლოდ პარტნიორთა კრებას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება წესდების წინამდებარე მუხლით განსაზღვრულ საკითხებზე.

7.2. საკითხები რომლებზეც გადაწყვეტილება მიიღება პარტნიორთა საერთო ხმების 100 (ასი) პროცენტით:

7.2.1. კომპანიის წესდების ნებისმიერი ცვლილებისა ან/და დამატების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

7.2.2. პარტნიორების მიერ თავიანთი წილის ან მისი ნაწილის გასხვისებაზე ან/და უფლებრივ დატვირთვაზე თანხმობის მიცემა.

7.2.3. კომპანიის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

7.2.4. ვალდებულებების აღება, ხელშეკრულებების/გარიგებების დადება რომელთა ღირებულება კალენდარული თვის განმავლობაში ერთი ხელშეკრულებების/გარიგებების ფარგლებში აღემატება 40 000 (ორმოცი ათას) ლარს, ან/და კალენდარული წლის განმავლობაში აღემატება 200 000 (ორასი ათას) ლარს;

7.2.5. სამეთვალყურეო ან/და დირექტორთა საბჭოს შექმნა, ცვლილება, დაშლა; კომპანიის დირექტორის დანიშვნა და მისი თანამდებობიდან განთავისუფლება, ასევე კომპანიის საკადრო პოლიტიკის განსაზღვრა.

7.2.6. ვალდებულებების აღება ან უზრუნველყოფა რომლებიც არ მიეკუთვნებიან საწარმოს ჩვეულებრივ საქმიანობას;

7.2.7. ფილიალის შექმნა/დაფუძნება და ლიკვიდაცია;

7.2.8. წარმოების სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყება და მათი შეწყვეტა;

7.2.9. კომპანიის როგორც საწარმოს, მთლიანად ან ნაწილობრივ გასხვისება;

7.2.10. კომპანიის მიერ წამოწყებული წარმოების/საქმიანობის თაობაზე ბიზნეს გეგმის/გეგმების შედგენა და მასში/მათში ცვლილებების შეტანა;

7.2.11. სესხების, კრედიტების აღება, გაცემა და სხვა საბანკო-საკრედიტო პროდუქტებით სარგებლობაზე გადაწყვეტილების მიღება;

7.2.12. წლიური შედეგების დამტკიცება

7.2.12. კომპანიის კაპიტალის გაზრდა ან შემცირება, მათ შორის კომპანიის კაპიტალში დამატებითი შენატანის განხორციელება ან კაპიტალის შემცირების გზით კომპანიის თანხების ამოღება;

7.2.12. კანონით ან წესდებით პარტნიორთა კრებისთვის დაკისრებული სხვა ისეთი საკითხების გადაწყვეტა, გარდა წინამდებარე წესდების 7.3 მუხლებით და მათი ქვეპუნქტებით განსაზღვრული საკითხებისა

7.3 საკითხები რომლებზეც გადაწყვეტილება მიიღება ერთი პარტნიორის მიერ, კომპანიაში მისი წილის მიუხედავად:

7.3.1. შესატანების გადახდის მოთხოვნა;

7.3.2. იმ უფლებების გამოყენება, რომელიც საზოგადოების დაფუძნებიდან ან საზოგადოების მართვიდან გამომდინარე აქვს დირექტორის ან/და პარტნიორის მიმართ, ასევე საზოგადოების წარმომადგენლობა იმ პროცესებში, რომლებსაც იგი დირექტორის წინააღმდეგ მართავს;

8. კომპანიის დირექტორი

8.1. კომპანიის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა მესამე პირების წინაშე ხორციელდება კომპანიის დირექტორების მიერ.

8.2. ხელმძღვანელობით საქმიანობად მიიჩნევა მოქმედება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება კომპანიის მიზანს. კომპანიის საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი.

8.3. კომპანიის დირექტორის უფლებამოსილება მესამე პირების წინაშე არ არის შეზღუდული თუკი ამის შესახებ პირდაპირ არ მიუთითებს კომპანიის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან. დირექტორის უფლებამოსილება შეიძლება შეიზღუდოს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით.

9. დირექტორის დანიშვნა/განთავისუფლება

9.1. დირექტორს ნიშნავს და ნებისმიერ დროს ათავისუფლებს დაკავებული პოზიციიდან პარტნიორთა საერთო კრება, წინამდებარე წესდებით განსაზღვრული წესით.

9.2. დირექტორთან უნდა დაიდოს სასამსახურო ხელშეკრულება. დირექტორისა და კომპანიის ურთიერთობის მიმართ არ გამოიყენება შრომის კანონმდებლობა. დირექტორთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ნორმები დავალების ხელშეკრულების შესახებ.

9.3. დირექტორის ანაზღაურება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება პარტნიორთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, წინამდებარე წესდებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

9.4. დირექტორის გათავისუფლება მესამე პირების წინაშე ძალაში შედის მისი სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდანვე.

10. დირექტორის უფლებები და ვალდებულებები

10.1. დირექტორის უფლებები

10.1.1. დირექტორი უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს საზოგადოების მართვისას ყოველდღიურ საკითხებზე, რომლებიც არ მიეკუთვნებიან აღნიშნული წესდებით განსაზღვრულ პარტნიორთა კრების ექსკლუზიურ უფლებამოსილებას.

10.1.2. ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც სცილდება კომპანიის ნორმალურ საქმიანობას, კომპანიის გაცხადებულ მიზნებს და საქმიანობის საგანს, საჭიროებს პარტნიორების თანხმობას რომელიც მიიღება პარტნიორთა კრებაზე წინამდებარე წესდებით განსაზღვრული წესით.

10.2. დირექტორის ვალდებულებები

10.2.1. დირექტორი პასუხისმგებელია იმაზე, რომ კომპანიის საბუღალტრო საქმეები და აღრიცხვა წარმოებდეს საქართველოში მოქმედი საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2.2. დირექტორი/დირექტორები ვალდებულია ათი წლის განმავლობაში შეინახოს შემდეგი დოკუმენტები:

10.2.2.1. საბუღალტრო წიგნები, საინვენტარიზაციო ნუსხა, ბალანსი, ასევე მათი გაგებისათვის აუცილებელი სამუშაო ინსტრუქციები და სხვა ორგანიზაციული დოკუმენტები;

10.2.2.2. მიღებული და გაგზავნილი საქმიანი კორესპონდენცია;

10.2.2.3. ცნობები მომდინარე საბუღალტრო წიგნებში ჩანაწერების შესახებ (საბუღალტრო დოკუმენტები).

10.2.3 დირექტორი წარუდგენს პარტნიორთა საერთო კრებას ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე:

10.2.3.1. სავარაუდო სამეურნეო პოლიტიკის შესახებ და მომავალში ხელმძღვანელობის სხვა პრინციპულ საკითხებზე; წელიწადში სულ ცოტა ერთხელ მაინც

10.2.3.2. სამეურნეო წლის პირველი სამი თვის განმავლობაში დირექტორმა უნდა შეადგინოს გასული სამეურნეო წლის წლიური ბალანსი, ანგარიში მოგება-ზარალის შესახებ (წლიური ანგარიში), ასევე საქმიანობის ანგარიში და უნდა წარმოადგინოს დასკვნითი ანგარიში

10.2.3.2.1 საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ სულ მცირე ყოველკვარტლურად;

10.2.3.2.2. კომპანიის ნებისმიერი პარტნიორის მოთხოვნისთანავე, მაგრამ მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღის ვადაში, მოთხოვნის სირთულიდან გამომდინარე, მიაწოდოს მომთხოვნ პარტნიორს ნებისმიერი სახის ინფორმაცია კომპანიის მიმდინარე, გასული და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ, გადასცეს კომპანიის ნებისმიერი საბუთი თუ დოკუმენტი, ასევე წარუდგინოს მომთხოვნ პარტნიორს წერილობითი ანგარიში მისი ან კომპანიის სხვა ნებისმიერი თანამშრომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების შესახებ. მოცემულ შემთხვევაში პარტნიორებს ეზღუდებათ წინამდებარე უფლება თუ მას მიზანშეუწონლად გამოიყენებენ, რითაც არამართლზომიერად შეიზღუდება დირექტორის საქმიანობა და ხელი შეეშლება მას მის განხორციელებაში. ამასთანავე, დირექტორი ვალდებულია კვარტალში ერთხელ, ყველა პარტნიორს გაუგზავნოს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტით მომზადებული ანგარიშგება კვარტლის დახურვიდან 45(ორმოცდახუთი) კალენდარულ დღეში.

11. დირექტორის პასუხისმგებლობა

11.1. კომპანიის დირექტორზე სრულად ვრცელდება მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დირექტორის ფიდუციური ვალდებულებები, რაც გულისხმობს იმას, რომ დირექტორი ვალდებულია კომპანიის საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერად და იმ ვარაუდით, რომ მისი ქმედება საუკეთესო იქნება კომპანიის ინტერესებისათვის. დირექტორს უფლება არ აქვს განახორციელოს ისეთი ქმედებები, რომელიც ხელსაყრელი იქნება მხოლოდ მისთვის და მისთვის სასურველი მესამე პირებისათვის.

11.2. 11.1 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის დროს დირექტორი ვალდებულია აანაზღაუროს საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანი.

თავი IV.

კომპანიის საქმიანობის შეწყვეტა

12. რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია

12.1. კომპანია წყვეტს საქმიანობას:

12.1.1. პარტნიორთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, წინამდებარე წესდებით განსაზღვრული წესით;

12.1.2. სასამართლოს მიერ, გადახდისუუნარობის შემთხვევაში გაკოტრების საქმის აღძვრისას;

12.1.3. კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

12.2. კომპანიის საქმიანობის შეწყვეტა ხდება მისი რეორგანიზაციის (შერწყმის, შეერთების, გამოყოფის, გაყოფის, გარდაქმნის) ან ლიკვიდაციის გზით.

12.3. კომპანიის რეორგანიზაციის შემთხვევაში მისი ყველა უფლება და მოვალეობა გადაეცემა მის უფლებამონაცვლეს.

13. დასკვნითი დებულებები

13.1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის მისი შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად რეგისტრაციის შემდეგ.

13.2. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქცევა, ეს არ მოახდენს გავლენას მთლიანად ამ წესდების ნამდვილობაზე. ბათილი დებულების ნაცვლად გამოიყენება მოქმედი წესი რომლითაც უფრო იოლად მიიღწევა კომპანიის მიზანი.

14. მხარეთა ხელმოწერები:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "პროგრეს ედუქეიშენ გრუფ" (ს/ნ 404714868)

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ანაგი განათლება" (ს/ნ 404596200)

Nino Chikvashvili 60002000729

Digitally signed by Nino Chikvashvili
Date: 2024.03.13 13:30:53

Davit Andguladze 61001020301

Digitally signed by Davit Andguladze
Date: 2024.03.13 17:02:53